სსკგ-ის თავმჯდომარემ სააღდგომო მილოცვა გაუგზვნა ძველი აღმოსავლური ეკლესიების მეთაურებს, რომლებიც აღდგომას 5 მაისს აღნიშნავენ

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.05.2024. მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ძველი აღმოსავლური ეკლესიების წინამძღვრებს, რომლებიც აღდგომას წელს 5 მაისს აღნიშნავენ, მისალოცი წერილებით მიმართა. მიტროპოლიტმა ანტონიმ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა, კერძოდ, კოპტური ეკლესიის უწმინდეს პატრიარქ თავადროს II-ს; სირიის ორთოდოქსალური ეკლესიის მეთაურს, უწმინდეს პატრიარქ მარ ეგნატე ეფრემ II-ს; ეთიოპიის უწმინდეს პატრიარქ აბუნა მათეს.

მიმართა რა მაღალ ადრესატებს სააღდგომო მისალმებით „ქრისტე აღდგა!“, სსკგ-ის თავმჯდომარემ აღნიშნა: „დღეს ეკლესია იხსენებს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას, რომლითაც ხსნის გზა ღიაა ყოველი მორწმუნესთვის. აღდგომის დღესასწაული კვლავ გვახსენებს წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებს:*იარეთ სიყვარულით, როგორც შეგვიყვარა ქრისტემ და ჩვენი გულისთვის შესაწირავად და კეთილსურნელოვან*

მსხვერპლად მისცა თავისი თავი ღმერთს (ეფ. 5:2)“.

„ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეებში გულმოდგინედ ვევედროთ უფალს, რომ მოგვანიჭოს *რწმენა და სასოება* (1 პეტ. 1:21) და ერთმანეთის სიყვარული, რათა სიხარულითა და მხიარულებით ვადიდებდეთ მის წმიდა სახელს და მსოფლიოს ვუცხადებდეთ კეთილ ცნობას ცოდვების მიტევებისა და მარადიული ცხოვრებლის შესახებ“, – ნათქვამია მილოცვაში.

დასასრულს ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ძველი აღმოსავლური ეკლესიების წინამძღვრებს უსურვა სულიერი და ხორციელი სიჯანსაღე, აღდგომის სიხარული, ძალთა სიმტკიცე და ღვთის შეწევნა მათ მაღალ მსახურებაში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91724/